

უკ: 783

ქერუბიკონის ჰიმნის შინაარსისა და ფორმის ურთიერთმიმართების შესახებ

მაგდა სუხიაშვილი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახ. კონსერვატორია
თბილისი, გრიბოედოვის ქ. №8-10

ანოტაცია:

დიდი შესვლის საგალობელი „რომელნი ქერუბიმთა“ ჩვენამდე მოღწეულია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ-ქართული სამგალობლო ტრადიციების ამსახველ სადა და გამშვენებული ნიმუშების სახით. მუხლობრივი ფორმის „სამღვდელო“ (რ. ხუნდაძის დეფინიცია) ქერუბიკონის კომპოზიციური გააზრებისას ქართველ ხელოვანთმთავრებს მიუმატავთ რიცხვებისთვის, რომლებიც, ქრისტიანული სიმბოლიკის მიხედვით, საკრალური მნიშვნელობისაა.

გელათის სკოლის საგალობელთა შორის ვხვდებით რვა და თორმეტი მუხლისაგან შედგენილ, ხოლო აღმოსავლურ-ქართულ ტრადიციაში – რვა და ცხრა მუხლიან ნიმუშებს. მათგან რიცხვი ცხრა ყოვლადწმიდა სამებას და ზეციურ ძალთა იერარქიას უკავშირდება, თორმეტი – თორმეტ მოციქულს და ებრაელთა თორმეტ ტომს, ხოლო რვა – მარადიულობის სიმბოლოა.

ჰიმნების ფორმაქმნადობის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს განმეორებადობა წარმოადგენს, რასაც საგალობელთა კომპოზიციის სხვადასხვა სტრუქტურული „ობიექტები“ სხვადასხვაგვარად ავლენენ. შუა საუკუნეების ხელოვანთმთავარნი მიმართავენ სხვადასხვა სიდიდის განმეორებითი სტრუქტურული ერთეულების ვარიანტულ ცვლილებებს, და, რიგ შემთხვევებში, მელოდიური ფორმულის შემადგენელი სეგმენტების ისეთ მოდიფიკაციებს, როგორებიცაა სარკისებური შებრუნება და უკუსვლა.

მსგავსი სახის განმეორებადობა გარკვეული სტატიკურობის, წრიული ბრუნვის და მისტიკური ჭვრეტის დინამიკის შეგრძნებას ბადებს. იგი დროისა და სივრცის კონცეფციის განსხვავებულ გააზრებას წარმოაჩენს, აძლიერებს მარადიულობის განცდას და ეთანადება შესაბამისი ლიტურგიკული ქმედების სახისმეტყველებას და საგალობლის სიტყვიერი ტექსტის შინაარსს.

საკვანძო სიტყვები: საგალობელი, ლიტურგიკული ქმედება, რიცხვთა სიმბოლიკა.

საიდუმლო ჰიმნადწოდებული „რომელნი ქერუბიმთა“ ჟამის-წირვაზე დამსწრე მლოცველებს „საღმრთო, წმიდა, უხრწნელ, უკუდავ, ზეცის... საიდუმლოთა“¹ მიღებისთვის ამზადებს. საგალობლის შინაარსისა და ფორმის ურთიერთმიმართების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია გავიაზროთ იმ ლიტურგიკული ქმედების სახისმეტყველება, რომლის თანმხლებიცაა განსახილველი ჰიმნი.

¹ ტექსტი მოყვანილია სამღვდლო კონდაკიდან [1: 198].

ცნობილია, რომ სიწმიდის შემოყვანების საგალობელი („რომელი ქერუბიმთა“) იგალობება მართალთა ლიტურგიისას დიდი შესვლის მონაკვეთში, წმინდა ძღვნის – პურისა და ზედაშეს – გადატანისას სამკვეთლოდან საკურთხეველში (წმინდა ტრაპეზზე). ეს ლიტურგიკული ქმედება იერუსალიმში მაცხოვრის საზეიმო შებრძანებას და გოლგოთაზე სვლას განასახიერებს; უკურთხეველი ძღვენი აქ თავად მაცხოვარია. მალე მას ელისჯვარცმაცვება და დაკრძალვა. პროცესიაში, რომელსაც თავად მაცხოვარი მიუძღვის, ზეციური ძალები უხილავად მონაწილეობენ. ისინი უფალს კრძალვით ემსახურებიან და წმინდა ტრაპეზამდე გალობით აცილებენ („ალილუია, ალილუია, ალილუია“). ღვთისმსახურების ამ მონაკვეთში დიაკვნები, რომლებიც „წინა უძღვიან“ დიდების მეუფეს, ანგელოზებს განასახიერებენ. საკურთხეველი და ტრაპეზზე გაშლილი ოდიკი სახეა წმინდა საფლავისა, რომელზეც დაასვენეს მაცხოვარი.

ქერუბიკონის შინაარსის გაცნობიერებისთვის მნიშვნელოვანია მისი ოთხივე ტექსტის გათვალისწინება. მხედველობაშია საგალობლები, რომლებიც ღვთისმსახურების წლიური ციკლის გარკვეულ დღეებში „რომელნი ქერუბიმთას“ ნაცვლად იგალობება. ესენია: დიდი ხუთშაბათის „სერობასა შენსა საიდუმლოსა“, დიდი შაბათის „სდუმენინ ყოველნი კორცნი კაცობრივი“, და პირველშეწირულის ლიტურგიის „აჲ ძალნი ზეცათანი“.

გერმანე კონსტენტილეპოლელისა და კირილე იერუსალიმელის კომენტარების თანახმად, ქერუბიკონის ტექსტები მიემართება არა მხოლოდ ლიტურგიკულ ქმედებას (წმიდა ძღვნის გადატანას სამკვეთლოდან საკურთხეველში), არამედ წარმოადგენს შესავალს მთელი ექვსარსტიული განგებისა – ანაფორიდან ზიარებამდე. მართლმადიდებელი რომლებმაც ღვთისადმი სერაბინთა გალობა („წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს...“) უნდა აღავლინონ, ისმენენ საიდუმლო ჰიმნის შეგონებას – დაივიწყონ ამქვეყნიური საზრუნავი („ზე გვაქვნი გულნი“) იმისთვის, რომ ეზიარონ დიდების მეუფეს – ქრისტეს („კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“²). ნიშნეულია, რომ დიდი შაბათის ქერუბიკონში „სდუმენინ ყოველნი კორცნი კაცობრივი“ ნათქვამია სიტყვები: „აჲ ესერა, შემოვალს მეუფე მეუფეთა და უფალი უფლებათა დაკლვად და მიცემად საჰმლად მორწმუნეთა...“. ეს სიტყვები წმიდა ზიარების საიდუმლოსთვისმორწმუნეთა მოსამზადებლადაა გამოთქმული. ღირსებითა და სიწმინდით მიღებული ზიარება საუკუნო ცხოვრების საწინდარია [2: 157; 3].

ქერუბიკონისადმრთო ლიტურგიის მისტიკურობით გამორჩეულ საგალობელთა რიცხვშია; ლიტურგიკულ ქმედებასა და სიტყვიერ ტექსტში ჩაქსოვილი ღრმა აზრი ჰიმნის მუსიკალურ მხარეზე აისახება და სამუსიკო ტექსტის სხვადასვა პარამეტრების მახასიათებლებს განსაზღვრავს.

ჩვენი კვლევის ობიექტია „რომელნი ქერუბიმთას“ რამდენიმე ნოტირებული ნიმუში (სადა და გამშვენებული), რომელთა ნაწილი დაკავშირებულია აღმოსავლეთ საქართველოს, ნაწილი კი – დასავლეთ საქართველოს სამონასტროსკოლების სამგალობლო ტრადიციებთან. ისინი ჩაწერილია იმ მაგალობელთაგან, რომლებმაც ე. წ. „ზეპირი გალობის“ მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია იმემკვიდრეს; ამასთან, საანალიზოდ შერჩეულია საგალობლები, რომლებიც „კილოს სიწმინდითაა“ დაცული. სახელდობრ, ჩვენი კვლევის ობიექტია XIX საუკუნეში ნოტირებული ქართლ-კახური კილოს ნიმუშები, გადმოცემული არქიმანდრიტ სოფრომის (ერისთავის), კარბელაშვილთა საგვარეულოს ცნობილი წარმომადგენლების – ეპიკოპოსი სტეფანეს,

² წმინდა ძღვნის საკურთხეველში გადატანისას ამ სიტყვებს მღვდელმთავარი წარმოთქვამს.

დეკანოზი პოლიევქტოსის და მათი მამის, მღვდელ გრიგოლის, ნამოწაფრების (მღვდლები: ალექსანდრე მოლოდინაშვილი, გრიგოლ მღებრიშვილი, დიაკვნები: ყარამან და გიგო მენთეშაშვილები) მიერ და გელათის სკოლის საგალობლები – „ნამდვილი“ და გამშვენებული კილოს ნიმუშები, რომლებიც ასახავს თავისი დროის გამორჩეული მგალობლების (ანტონ დუმბაძე, დიმიტრი ჭალაგანიძე, ივლიანე წერეთელი, რაჟდენ ხუნდაძე და სიმონ მოლარიშვილი) ნაგალობებს. გელათის სკოლის ე. წ. „ნამდვილი კოლოს“ საგალობელი მაქსიმე შარაძემ ჩაიწერა,³ ხოლო გამშვენებული ნიმუშები – ფილიმონ ქორიძემ⁴ [7]. გელათის სკოლის გამშვენებული ვერსიებიდან განვიხილავთ ე. წ. „საზოგადო“, „სამღვდლო“ (დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის დეფინიცია⁵) ქერუბიკონს; იგი ე. წ. „ნამდვილი კილოს“ გამშვენებული ვარიანტია⁶ [12: 63-65].

რაც შეეხება ქართლ-კახურ საგალობლებს, კარბელანთ კილოს გამშვენებული ნიმუშები ნოტირებულია მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის მიერ, სადა – ანდრეა

ბენაშვილის⁷, ხოლო სოფრონ არქიმანდრიტისეული ვერსია – ანდრეა მრეკლიშვილის მიერ⁸.

ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის, რომ ზემოხსენებულ საგალობელთა კომპოზიციური გააზრებისას ქართველ ხელოვანთა მთავართ მიუმართავთ რიცხვებისთვის, რომლებიც, ქრისტიანული სიმბოლოების მიხედვით, საკრალური მნიშვნელობისაა; გელათის სკოლის ე. წ. „ნამდვილი“ კილოს ქერუბიკონი თორმეტმუხლიანია⁹, ხოლო გამშვენებული – რვა მუხლიანი¹⁰; რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო სკოლათა საგალობლებს, მათ შორის რვადა ცხრა მუხლიან

³ მაქსიმე შარაძემ ჩაიწერა *ნამდვილი კილოს* საგალობლის ზედა ხმა (ე. წ. „თქმა“), ხოლო სამ ხმაზე მოგვიანებით გააწყვეს წმ. ექვთიმე კერესელიძემ და ივლიანე ნიკოლაძემ [იხ. 4: 191, 5: 249-252]; ქერუბიკონის სადა ნიმუშებს შორის ცნობილია, ასევე, ხუნდაძისეული ვერსია და საბავშვო საგალობელი, რომლებსაც აქ არ განვიხილავთ, რადგან ორივე მათგანი „ნამდვილი კილოს“ ნიმუშის გამარტივებული ვერსიებია [იხ. 6: 45-61].

⁴ ფილიმონ ქორიძის მიერ ჩაწერილი წირვის წესის გამშვენებული საგალობლები გამოქვეყნებულია მალხაზ ერქვანიძის რედაქციით [8].

⁵ დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის გადმოცემის თანახმად, მას საზოგადო უწოდეს, ვინაიდან ყველაზე ფართოდ ყოფილა გავრცელებული სხვადასხვა სამონასტრო სკოლის სამგალობლო პრაქტიკაში [იხ. 9: 4-5; 10: 9].

⁶ *ქერუბიკონის* ე. წ. *ჰრელ* და *სამღვდელმთავრო* ნიმუშებს წინამდებარე სტატიაში არ განვიხილავთ, ვინაიდან ისინი ცალკე შესწავლის ობიექტებად გვესახება. ჰრელთა სპეციფიკისა და სამღვდელმთავრო ღვთისმსახურების თავისებურებების გამო. აქ არ ვეხებით, ასევე, ქერუბიკონის არატრადიციულ, ნაკაშიძე-კონტრადიციულ ნიმუშს, რომელიც გაწყობილია მერვე ხმის ოხითას ჰანგზე (ამ ვერსიის ზოგიერთი თავისებურება განხილულია წინამდებარე სტატიის ავტორის ნაშრომში [იხ. 11: 125-132].

⁷ მალხაზ ერქვანიძემ ანდრეა ბენაშვილის მიერ ჩაწერილი კარბელაშვილთა კილოს წირვის წესის სადა საგალობლები 2005 წელს გამოაქვეყნა. მან შეცდომით მიიჩნია ისინი მღვდელ ალექსანდრე მოლოდინაშვილის მიერ ჩაწერილად [შდრ. 13: 293-323; 14].

⁸ კარბელაშვილთა კილოს სადა და გამშვენებული ნიმუშები გამოქვეყნებულია [15: 303-305; 252-255]; გამოუქვეყნებელია მხოლოდ არქიმანდრიტ სოფრომისეული ვერსია, რომელიც, წირვის წესის სხვა საგალობლებთან ერთად, ანდრეა მრეკლიშვილმა ჩაიწერა მე-19 საუკუნის 40-იან წლებში. იგი კვლევის ობიექტი ჯერ არ ყოფილა [იხ. 16].

⁹ ნიშნულია, რომ გელათის სკოლის სადა საბავშვო საგალობელი – ცხრა მუხლიანია [17: 214-216].

¹⁰ ჩვენი აზრით, ე. წ. „სამღვდლო“ ქერუბიკონის გამშვენებული ვარიანტის მუხლობრივი დაყოფა შემდგომად აისახება სიტყვიერი ტექსტის „განკვეთაზე“: „რომელნი ქერუბიკონთა| საიდუმლოდ| ვემსგავსენით| და ცხოველსმყოფელისა| სამებისა| სამწმიდა არსობისა გალობასა შევწირავთ,| ყოველივე მსოფლიო| დაუტევოთ ზრუნვა“|. ამავე საგალობლის მალხაზ ერქვანიძისეულ რედაქციაში მუხლებად დაყოფის რამდენადმე განსხვავებული ვერსიაა შემოთავაზებული [იხ. 18: 63-65].

ჰიმნებს ვხვდებით (სახელდობრ, კარბელაშვილების კილოს სადა და გამშვენებული ქერუბიკონი რვა მუხლისგან შედგება, ხოლო არქიმანდრიტ სოფრონისეული – ცხრა მუხლს შეიცავს¹¹). რიცხვი რვაწმ. გრიგოლ ღვთისმეტყველისა და იოანე დამასკელის განმარტებით, მარადიულობის სიმბოლოა [19: 63]; მე-8 დღე აღდგომის დღეა, რომელიც „მერმისა მის საუკუნო ცხოვრების“ დასაბამია. რიცხვი ცხრა ყოვლადწმიდა სამებას (სამგზის სამი) და ზეციურ ძალთა იერარქიას (ანგელოზთა ცხრა დასს) უკავშირდება, ხოლო რიცხვი თორმეტი – ებრაელთა თორმეტ ტომს და თორმეტ მოციქულს. წმინდა წერილის კომენტატორთა განმარტებით, 12 მოციქულის გამორჩევა განასახიერებს ახლის დასაბამს, ახალ 12 ტომად გაერთიანებულ საზეპურო ერს, რომელსაც უფალმა ახალი გზა დაანახა დაცათა საუფეველის შესახებ აუწყა [20].

რიცხვთა სიმბოლიკასთან კავშირი გელათის სკოლის „ნამდვილი კილოს“ ქერუბიკონის შიდა სტრუქტურულ დაყოფაშიც (ზოგიერთი მუხლის დაჯგუფება) ვლინდება და სიტყვიერ ტექსტთან ჰანგის მიმართებაშიც, რაც ნათლად ჩანს სამუსიკო მაგალითში №1.

მაგ.1

The musical score consists of seven staves, each representing a different musical phrase. The staves are labeled with letters in boxes: A, A', B, C, C', Q, and Q'. Each staff contains a melodic line with various musical notations, including notes, rests, and accidentals. Below the staves, there are lyrics in Georgian, with some words in parentheses. The staves are connected by a series of horizontal lines, indicating a continuous melodic flow. The key signature is one sharp (F#), and the time signature is 4/4. The staves are arranged in a vertical sequence, with each staff starting on a new line. The labels A, A', B, C, C', Q, and Q' are placed above the first staff of each phrase. The musical notations a, b, c, f, g, f', f'', o, o', r, and r' are placed above specific notes or groups of notes, indicating specific musical features or accents. The lyrics are written in Georgian, with some words in parentheses, suggesting a specific liturgical or hymnal context.

¹¹ საერთო საბაზისო ჰანგის მქონე საგალობლებში მუხლების რაოდენობრივ სხვაობას შემდეგი ახსნა მოეპოვება: 1) ჰიმნის სიტყვიერი ტექსტის სხვადასხვა რედაქციები მარცვალთა რაოდენობის კლებას ან მატებას იწვევს, რაც სტრუქტურული ერთეულების რაოდენობრივ მაჩვენებელზე აისახება; სახელდობრ, მარცვალთა ზრდა ზოგჯერ მუხლის ორად გაყოფას, განაყოფების გამიჯვნას და, შესაბამისად, ფრაზების რაოდენობის ზრდას განაპირობებს. 2) ზოგიერთი საგალობლის კომპოზიციაში დამატებითაა ჩართული იმპროვიზაციული სტრუქტურული ერთეულები, რაც ასევე განაპირობებს მუხლების რაოდენობრივ ზრდას.

სამუსიკო მაგალითი მოყვანილია ნაშრომიდან „სადა კილოს საგალობლების საბაზისო ჰანგები და მათი შემადგენელი სტრუქტურული ერთეულები“ [21: 50-51]. საგალობელში გამოიყოფა სამუხლიანი კულმინაციური, იმპროვიზაციული მონაკვეთი (C¹Q¹), რომელიც უკავშირდება საკრალურ რიცხვს სამს და შეეფარდება სიტყვას „სამებისა“.

შემთხვევითი არ არის, რომ სიტყვა „სამების“ მარცვლები სწორედ სამ მუხლზეა გადანაწილებული.

„სიწმინდის შემოყვანების“ ლიტურგიკულ ქმედებასა და მისი თანმხლებ საგალობელში გადმოცემული სულიერი რეალობა მხოლოდ ჰიმნის შემადგენელი მუხლების რაოდენობის საკრალურ რიცხვებთან კავშირს როდი განაპირობებს¹². მანსაგალობლის ფორმა ქმნადობის პროცესის ზოგიერთი მახასიათებელიც განსაზღვრავს. ამ მახასიათებელთა წარმოჩენის ერთ-ერთ გზად საგალობელთა კომპარატიული ანალიზი გვესახება, რადგან იგი ფორმაქმნადობის საერთო პრინციპების გამოვლენას ემსახურება. ვინაიდან ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ რამდენიმე ნაშრომში გელათის სკოლის ქერუბიკონის ვარიანტები სხვადასხვა ასპექტითაა განხილული [22: 415-430; 23: 125-132; 24: 45-61], აქ ყურადღებას, პირველ ყოვლისა, აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ნიმუშებზე გავამახვილებთ; გარდა ამისა, გამოვყოფთ იმ თავისებურებებსაც, რომლებიც მათ გელათურ ვერსიებთან აკავშირებს.

„რომელნი ქერუბიმთა“ ქართლ-კახური კილოს ვარიანტების ურთიერთ შედარების შედეგად გაირკვა, რომ არქიმანდრიტ სოფრომისა და კარბელაშვილებისეულ სადა და გამშვენებულ საგალობლებს საერთო, საბაზისო ჰანგი აქვს¹³. ეს მოულოდნელი არ ყოფილა, ვინაიდან ცნობილი იყო წმ. პოლიექტოს კარბელაშვილის გადმოცემა, რომლის თანახმადაც სოფრომ არქიმანდრიტის გალობა „დღევანდელი ქართლ-კახური გალობავეა“ [25: 81].

საანალიზო ნიმუშების განხილვამ დაგვანახა ისიც, რომ განმეორებადობა „საიდუმლო ჰიმნად“ წოდებული ქერუბიკონის ფორმაქმნადობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. ამ თავისებურებას საგალობელთა კომპოზიციის სხვადასხვა სტრუქტურული „ობიექტები“ სხვადასხვაგვარად ავლენენ. განმეორებადობა მეტწილად შენიღბულია ვარიანტული განვითარების ტექნიკით, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

სანოტო მაგალითში №2 წარმოდგენილია საგალობლის სამივე ვერსია: 1) კარბელაშვილებისეული გამშვენებული 2) მისივესადანიმუში (ჩაწერილი ბენაშვილის მიერ) და 3) მრევლიშვილის მიერ ნოტირებული სოფრომ არქიმანდრიტისეული სადა ვერსია¹⁴.

¹² აღსანიშნავია, რომ საერთო საბაზისო ჰანგის მქონე ქერუბიკონებში მუხლების რაოდენობრივი სხვაობის ერთ-ერთი მიზეზია სიტყვიერი ტექსტების რამდენადმე განსხვავებული რედაქციების გამოყენება, რაც ზოგჯერ მთლიანი სამუსიკო ფრაზის გაყოფას განაპირობებს.

¹³ მათი საწყისი ორი მუხლი (პირველი და მეორე ფრაზები) გელათური ნიმუშების იმავე მუხლებთან ამჟღავნებს მსგავსებას (ვგულისხმობთ მხოლოდ მელოდიური კონტურების მსგავსებას), თუმცა საგალობელთა მთელი შემდგომი განვითარება საწყისი მუხლის ინტონაციურ ფორმულების განსხვავებულ ვარიანტულ ცვლილებებსა და კომბინაციებზეა დაფუძნებული.

¹⁴ ყველა სხვა ვარიანტისგან განსხვავებით, სოფრომ არქიმანდრიტისეული „რომელნი ქერუბიმთა“ მრევლიშვილის ხელნაწერში წარმოდგენილია მის მეორე ნაწილთან („და ვითარცა მეუფისა“-სთან) ერთად (წყვეტის გარეშე), როგორც იგი XII საუკუნემდე არსებულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში სრულდებოდა; წინამდებარე სტატიაში ჩვენ მხოლოდ მის პირველ ნაწილს განვიხილავთ.

მაგ. 2

I

1. (კ.) **A** **B** **F**
 რო - მელ - ნი ქე - რუ - ბი - მ - თა

2. (ბ.) **I**
 რო - მელ - ნი ქე - რუ - ბიმ - თა

3. (გ.) **I**
 რო - ი - თ - მელ - - - ნი ქე - რა - ბინ - თა

II

1. (კ.) **A'** **B'** **F**
 სა - - - ი - დუ - მ - ლო - სა

2. (ბ.) **II**
 სა - ი - დუმ - ლო

3. (გ.) **II**
 სა - ი - ა - ი - დუ - მ - ლო - - - - - ოდ

III

1. (კ.) **B²** **B³** **F**
 ვე - - - მსგა - ვსე - - - ბით

2. (ბ.) **III**
 ვე - - - მსგა - ვსე - ბით

3. (გ.) **III**
 ვე - ე - ი - - - მსგა - ა - ვსე - ე - ი - ე - ნით

აქ მხოლოდ პირველი სამი მუხლისზედა ხმებია (ე. წ. „თქმა“) დაფიქსირებული. როგორც მაგალითიდან ჩანს, ყოველი მუხლის ბოლოს გვხვდება ერთი ან ორი სტანდარტული, განმეორებითი მელოდიური ფორმულა გარკვეული ვარიანტულ ცვლილებებით (მაგალითში ისინი პუნქტირული ხაზითაა გამოყოფილი). ამ ორიდან ერთიუფრო ვრცელი, განმეორებითი ბოლოსართია (სანოტო მაგალითში მის აღსანიშნავად გამოყენებულია დიდი ლათინური ასო F). საგალობელთა მუხლობრივ-ფორმულებრივი სტრუქტურა სქემატურად ასახულია ცხრილის №1 სამ გრაფაში შემდეგი თანმიმდევრობით: 1. კარბელაშვილთა გამშვენებული კილოს ნიმუში; 2. კარბელაშვილთა სადა საგალობელი (ჩაწერილი ბენაშვილის მიერ); 3. სოფრომ არქიმანდრიტისეული სადა ნიმუში (ჩაწერილი ანდრეა მრევლიშვილის მიერ). აქაცმუხლები აღნიშნულია რომაული რიცხვებით, მელოდიური ფორმულები – დიდი ლათინური ასოებით, ხოლო მელოდიური ფორმულების შემადგენელი მცირე სეგმენტები – პატარა ლათინური ასოებით.

ცხრილი№1

	I მუხლი	II მუხლი	III მუხლი	IV მუხლი	V მუხლი	VI მუხლი	VII მუხლი	VIII მუხლი	IX მუხლი
1(კ)	A B F ab cd F	A ¹ B ¹ F a ¹ b ¹ ed ¹ F	B ² B ³ F c ¹ c ² f c ³ gd ² F	B ⁴ F c ⁴ d ³ F	A ² B ⁵ F a ² a ⁴ c ⁵ c ⁶ d ⁴ F	B ⁶ B ⁷ F d ⁵ c ⁸ mc ² d ⁶ F	B ⁸ B ⁹ F d ⁷ c ⁸ e ³ d ⁸ F	A ³ B ¹⁰ F a ¹ e ⁴ d ⁹ F	
2(ბ)	A B F ab cd F	A ² B ¹ F a ¹ b ² ed ¹ F	B ² B ³ c ¹ cf c ² gd ²	B ⁴ c ³ d ³	A ² B ⁵ F a ² d ⁴ F	B ⁶ B ⁷ d ⁵ c ⁴ mc ⁵ e ² d ⁶ F	B ⁸ B ⁹ d ⁷ c ⁶ e ³ d ⁸	A ³ B ¹⁰ a ³ e ⁴ d ⁹	
3(ა)	A B ab a:d	A ² B ¹ a:b ed ¹	B ² B ³ c ¹ c ² f c ³ d ² d ³	B ⁴ c ⁴ d ⁴	A ² B ⁵ a ² c ⁵ d ⁴	B ⁶ B ⁷ d ⁵ c ⁶ d ⁶	B ⁸ c ⁷ mc ⁸ c ⁸ d ⁷	B ⁹ B ¹⁰ d ⁸ c ⁹ ed ⁹	A ³ B ¹ a ¹⁰ e ¹ d ¹⁰

როგორც საგალობელთა კომპოზიციის ამსახველი სქემები გვიჩვენებს, ე. წ. ბოლოსართი კარბელაშვილთა კილოს გამშვენებული ქერუბიკონის თითოეულ მუხლსერთვის (იგიფრაზაში ჩაქსოვილი სამუსიკო აზრის გავრცობას განაპირობებს)¹⁵. მსგავსი ფუნქციის სტრუქტურული ერთეულიკარბელაანთ კილოს სადა საგალობელში სულ სამჯერ გვხვდება. როგორც ბენაშვილისგანმარტებიდან ირკვევა, ეს მისი გადაწყვეტილებისშედეგი ყოფილა. „რომელნი ქერუბიმთაში უფრო მოკლე ნაქვთები (მონაკვეთები – მ. ს.) მომივიდაო, – აღიარებს იგი; თუმცა აღნიშნავს იმასაც, რომ „ქიზიყში, ქვემო კახეთში მომეტებული ნაწილი მაგალობლებისა ასეგალობსო [იხ. 26:3; 27:165].

განმეორებითი ბოლოსართების ანუ „გრძელი ნაქვთების“ უგულებელყოფის შემთხვევებს ანდრეა ბენაშვილი დიდი შესვლის რიტუალის ხანგრძლივობის ცვალებადობასაც უკავშირებს, რაც, მისივე განმარტებით, დამოკიდებული ყოფილა ღვთისმსახურებაში მონაწილე სასულიერო პირების რაოდენობაზე. „... რაკი მაგალობელს ეცოდინება ერთი გრძელი ნაქვთი, მას ყოველთვის შეუძლიან მოკლე ნაქვთი გრძელ ნაქვთად აქციოს (ანუ მუხლი გაავრცოსო – მ. ს.). მაგალითად, თუ მწირველნი ბევრნი არიან და „რომელნი ქერუბიმთა“ გაგრძელება დასჭირდება, მაშინ მაგალობელი ხშირად იხმარს გრძელ ნაქვთს; თუ კიდევ გარემოება მოითხოვს მოკლე გალობასა, – მაშინ მუხლებს მოკლე ნაქვთებით დააბოლოვებს“, – წერს იგი [იხ. 27: 165].

¹⁵ ზემოხსენებული სტრუქტურული ერთეულის სახელდებისთვის ტერმინ „ბოლოსართის“ გამოყენება მირჩია კომპოზიტორმა ნოდარ მამისაშვილმა, რისთვისაც მას გულითად მადლობას მოვახსენებ.

აღსანიშნავია, რომ განმეორებითი ან იმპროვიზაციულად სახეცვლილი ბოლოსართები ახასიათებს გელათის სკოლის „სამღვდელო“, „საზოგადო“ ქერუბიკონის ყველა (სადა და გამშვენებულ) ვერსიას [28: 50-51; 29: 249-252; 30: 63-65]. საანალიზო ნიმუშებს შორის სოფრომ არქიმანდრიტი სეული ქერუბიკონი ერთადერთი გამოწაკლისია, რომელსაც მუხლების გამავრცობელი ბოლოსართები არ გააჩნია, თუმცა მისი თითოეული ფრაზის შემადგენლობაშია განმეორებითი დამაბოლოებელი მოტივი (ზემოთ მოყვანილ ცხრილშიამ სტრუქტურული ერთეულის აღსანიშნავად გამოყენებულია პატარა ლათინური ასო d). აქ მას დამაბოლოებელი საქცევის ფუნქცია ეკისრება. ქერუბიკონის სხვა ვერსიებში ამავე მოტივს (სახეცვლილი ვარიანტებით) ბოლოსართის წინარე სტრუქტურული ერთეულის ადგილმდებარეობა უკავია (იხ. იმავე ცხრილის I და II გრაფები).

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ბოლოსართებიანი მუხლობრივი სტრუქტურა ქერუბიკონის ჰიმნის უმრავლესობის თავისებურებაა. ჰიმნის ამ ფორმას პირობითად შესაძლოა მუხლობრივ-ბოლოსართიანი ფორმა ვუწოდოთ¹⁶.

საგალობელთა ფორმაქმნადობის კვლევა ცხადყოფს, რომ განმეორებადობა მხოლოდ ჰანგის შემადგენელი მუხლების დამაბოლოებელ ან დამაბოლოებელის წინარე სტრუქტურულ ერთეულებს როდი ახასიათებს. მთელი ჰიმნის სტრუქტურული შედგენილობა აღმოცენებულია A, B და F საქცევებისა და მათი შემადგენელი მოტივებისგან. ისინი მეორდებიან გარკვეული ვარიანტული ცვლილებებით. A და B საქცევების ვარიანტულ ცვლილებაში ვგულისხმობთ სრული ან შეკვეცილი სტანდარტული სტრუქტურული ერთეულის გამეორებას, რომლის დროსაც შესაძლებელია საბაზისო ბგერების ნაწილის სხვა ბგერებით ჩანაცვლება, მათში ახალი სეგმენტების ჩართვა ან გარკვეული ბგერების უგულებელყოფა (განსხვავებით F-ით აღნიშნული საქცევებისგან, ბოლოსართებისგან, რომლებიც განმეორებადობას მკაფიოდ და სრულად ავლენენ); ვარიანტული განვითარების ამ ტექნიკის გამოყენებით განმეორებადობა რამდენადმე შენიღბულია. ხსენებული ტექნიკა გავრცელებული იყო შუა საუკუნეების ლიტურგიკულ მუსიკაში, არა მხოლოდ ქართულში [32].

გარდა ზემოთქმულისა, გამეორებისას შესაძლოა შეგვხვდეს მოდალური გადახრები და მოდულაციები. მსგავს დასკვნამდე მივედით გელათის სამგალობლო სკოლის საგალობლების, მათ შორის „რომელნი ქერუბიმთას“ კომპოზიციური კანონზომიერებების კვლევისას, რომლის შედეგები გამოქვეყნებულია სტატიაში „ქართულ საეკლესიო საგალობლებში „დასდებლის მეცნიერების“ გამოვლენის ზოგიერთი ასპექტის შესახებ“ [33]. კვლევამ წარმოაჩინა, რომ აქ, ისევე როგორც ქართლ-კახურ ნიმუშებში, საგალობლის პოეტურ-მუსიკალური სტრუქტურა ამოზრდილია მხოლოდენ სამი მელოდიური ფორმულის შემცველი საწყისი მუხლისგან; აქსხვადასხვა სახის ვარიანტულ განვითარებას და გამშვენება-გავრცობას განიცდის საგალობლის უმცირესი სტრუქტურული ელემენტები – მელოდიური ფორმულის შემადგენელი სეგმენტები...“ [33: 418; 428-429].

¹⁶ მუხლობრივი ფორმის ქერუბიკონის ნიმუშებში ბოლოსართების გამოყენების თავისებურება წინამდებარე სტატიის ავტორმა განიხილა ჯერ კიდევ 2019 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორია“ [31: 50-51]. თუმცა წინამდებარე სტატიაში ამ საკითხზე ყურადღება გამახვილებულია ჰიმნის შინაარსისა და ფორმის ურთიერთკავშირის საკითხთან მიმართებაში. გარდა ამისა, ვეცადეთ დაგვეზუსტებინა მუხლობრივ-ბოლოსართიანი ფორმის გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგიერთი თავისებურება ქერუბიკონის ბენაშვილისეული ვერსიის მაგალითზე.

განმეორებითი სტრუქტურული ერთეულების ვარიანტული ცვლილებების გარდა ქართველი ხელოვანთათვის მიმართავენ მელოდირი ფორმულების შემადგენელი სეგმენტების ისეთ მოდიფიკაციებს, როგორებიცაა სარკისებური შებრუნება და უკუსვლა; მაგალითში №3 წარმოდგენილია ერთი და იმავე მოტივის – სეკუნდისა და ტერციის კომბინაციისაგან შედგენილი სტრუქტურული ერთეულის – მოდიფიკაციები კარბელაშვილთა კილოს გამშვენებული ქერუბიკონის სხვადასხვა მუხლში; ხოლო მაგალითში №4 ნაჩვენებია კიდევ ერთი ხშირად განმეორებადი საქცევის მოდიფიკაციის – სარკისებური შებრუნების – ნიმუში).

მაგ. 3

I მუხლი



I მუხლი



V მუხლი



III მუხლი



III მუხლი



III მუხლი



VIII მუხლი



I მუხლი



II მუხლი



ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქერუბიკონის განხილული ნიმუშების მუსიკალური მხარეკარმონიულ თანხმობაშია სიტყვიერი ტექსტისა და დიდი შესლვის რიტუალის საკრალურ შინაარსთან. იგიასახავს ლოცვით მდგომარეობას, რომელიც საზოგადო ღვთისმსახურებაში მონაწილეებს უადვილებს ეზიარონ მიღმურ რეალობას დაგულისხმა ჰყონ საგალობელში გამოთქმული შეგონება: „ყოველივე მსოფლიო დაუტეოთ ზრუნვა“.

38

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. სამღდელო კონდაკი. თბილისი: ნათლისმცემელი. 2007.
2. ქაჯაია, ნ. „დიდი შესღვის“ საგალობელი „სიწმიდისაჲ“ ძველ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია (რედ.: ციციშვილი, გიორგი). თბილისი: მეცნიერება, 2000, №1-4, 145-159.
3. Ионафан, архиепископ Тульчинский и Брацлавский. Об осмыслении и о «певческом» переводе херувимской песни, 2010
<https://gazetakifa.ru/content/view/3164>
4. ექვთიმე აღმსარებელი, ქართული გალობა სამი წირვის წესი. ლიტურგია მღვდელმთავართათვის და მღვდელთათვის. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერი Q-674.
5. ქართული გალობა, გელათის სკოლა. ტომი I, გამოცემა III. მწუხრი, ცისკარი, წირვა ილუმენ ექვთიმე კერესელიძის და დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერების მიხედვით (შემდგ.: ერქვანიძე მ., რედ.: მამისაშვილი ნ.). თბილისი: საქართველოს საპატრიარქო. 2004.
6. სუხიაშვილი, მ. //სადა კილოს წირვის წესის საგალობლების საბაზისო ჰანგები და მათი შემადგენელი სტრუქტურული ერთეულები (გელათის სამგალობლო სკოლის საგალობლების მაგალითზე) //. ქესჟ: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. 2017, 1 (15). 45-61. (<http://gesj.internet-academy.org.ge/download.php>);
7. ქორიძე, ფ. ქართული გალობა ლიტურგია იოანე ოქროპირისა გადაღებული ფილიმონ ქორიძის მიერ. პარტიტურა 11, თბილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. 1895.
8. ქართული საეკლესიო გალობა. გელათის და შემოქმედის სკოლები. V ტომი (შემდგ.: ერქვანიძე, მ.). თბილისი: საქართველოს საპატრიარქო. 2008.
9. ხუნდაძე, რ. ქართული საეკლესიო გალობა. მწყემსი (რედ.: ღამბაშიძე, დ.). 1884 №7. 4-5.
10. ხუნდაძე, რ. ქართული გალობა: რა მდგომარეობაში იყო გალობა წინეთ, რა მდგომარეობაშია დღეს. შინაური საქმეები. 1910 №18. 9.
11. ქართული საეკლესიო გალობა. გელათის და შემოქმედის სკოლები. V ტომი. (შემდგ.: ერქვანიძე, მ.). თბილისი: საქართველოს საპატრიარქო. 2008.
12. ქართული საეკლესიო გალობა. გელათის და შემოქმედის სკოლები. V ტომი. (შემდგ.: ერქვანიძე, მ.). თბილისი: საქართველოს საპატრიარქო. 2008.
13. აღმოსავლეთის სკოლა (ქართლ-კახური კილო). ტომი III. მწუხრი. ცისკარი. წირვა. გადმოცემული ძმები კარბელაშვილებისა და ალექსანდრე მოლოდინაშვილის მიერ. (შემდგ.: ერქვანიძე, მ.). თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი. 2005.

14. ბენაშვილი, ა. ქართული ხმები. საეკლესიო გალობა წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესისა ქართლ-კახეთის კილოზედ. ხალხური სიღერები შეკრებილი და ნოტებზედ გადაღებული ანდრია სიმონის ძე ბენაშვილისაგან. ტფილისი: სტამბა მელიქიშვილისა. 1886.
15. აღმოსავლეთის სკოლა (ქართლ-კახური კილო), ტომი III. მწუხრი. ცისკარი. წირვა. გადმოცემული ძმები კარბელაშვილებისა და ალექსანდრე მოლოდინაშვილის მიერ. (შემდგ.: ერქვანიძე, მ.). თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი .2005.
16. მრევლიშვილი, ა. ჟამი წირვისა ქართულის კილოზედ სამ ხმად შედგენილი ნოტზედ მღუდლის გიორგის ძის ანდრო მრევლოვის მიერ (დამატებით ნოტის ანბანისა და ნიშანთა მათთან კუთნილთ მოკლე განმარტებით). 1852. დაცულია მოსკოვის მ. გლინკას სახელობის მუსიკალური კულტურის ცენტრალურ სახელმწიფო მუზეუმში. ფ. 370. ხელნაწერი № 437.
17. ქართული გალობა, გელათის სკოლა. მწუხრის, ცისკრის, ჟამისწირვის, თორმეტ საუფლო და უძრავ დღესასწაულთა, პასექის, პანაშვიდის და ქორწინების საგალობლები (შემდგ.: ერქვანიძე, მ., ვეშაპიძე, ლ.). თბილისი: ხელოვნება. 2003.
18. ქართული საეკლესიო გალობა. გელათის და შემოქმედის სკოლები. V ტომი (შემდგ.: ერქვანიძე, მ.). თბილისი: საქართველოს საპატრიარქო. 2008.
19. Всеночное бдение. Литургия. Москва: Издание московской патриархии. 1982.
20. Архимандрит Ианнуарий (Ивлиев), Буседы о Новом Завете Евангелия от Марка. <https://www.grad-petrov.ru/people/ivliev-iannuarij>.
21. სუხიაშვილი, მ. სადა კილოს წირვის წესის საგალობლების საბაზისო ჰანგები და მათი შემადგენელი სტრუქტურული ერთეულები (გელათის სამგალობლო სკოლის საგალობლების მაგალითზე) // ქესჟ: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. 2017 1(15) (<http://gesj.internet-academy.org.ge/download.php>); 45-61.
22. სუხიაშვილი, მ. ქართულ საეკლესიო საგალობელში „დასდებლის მეცნიერების“ გამოვლენის ზოგიერთი ასპექტის შესახებ. ტრადიციული მრავალხმობის II საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებები (რედ.: წურწუმია, რ., ჟორდანი, ი.). თბილისი: პოლიგრაფი. 2004, 415-430 (ქართ. და ინგლ. ენებზე).
23. სუხიაშვილი, მ. რამდენიმე შენიშვნა ფილიმონ ქორიძის მიერ ნოტირებული წირვის წესის თაობაზე. გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის XI საერთაშორისო ფესტივალი. სამეცნიერო კონფერენცია ფოლკლორული და საეკლესიო მუსიკის საკითხები (რედ. მანაგაძე, ხ.). ბათუმი: ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2016, 125-132.
24. სუხიაშვილი, მ. სადა კილოს წირვის წესის საგალობლების საბაზისო ჰანგები და მათი შემადგენელი სტრუქტურული ერთეულები (გელათის სამგალობლო სკოლის საგალობლების მაგალითზე) // ქესჟ: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია, 2017, 1(15) (<http://gesj.internet-academy.org.ge/download.php>); 45-61.

25. კარბელაშვილი, პ. ქართული საერო და სასულიერო კილოები. ისტორიული მიმოხილვა. ტფილისი: სტამბა ექ. ხელაძისა. 1898.
26. ბენაშვილი, ა. პასუხად „ქართული გალობის მოყვარესა“, ივერია. 1887 №87. 2-3.
27. შულღიაშვილი, დ. ქართული გალობის ქრონიკა. 1861-1921 წლების პერიოდიკაში. თბილისი. 2015.
28. სუხიაშვილი, მ. სადა კილოს წირვის წესის საგალობლების საბაზისო ჰანგები და მათი შემადგენელი სტრუქტურული ერთეულები (გელათის სამგალობლო სკოლის საგალობლების მაგალითზე) // ქესჟ: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია, 2017 1(15) // <http://gesj.internet-academy.org.ge/download.php>; 45-61.
29. ქართული გალობა, გელათის სკოლა. ტომი I, გამოცემა III. მწუხრი, ცისკარი, წირვა ილუმენ ექვთიმე კერესელიძის და დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერების მიხედვით (შემდგ.: ერქვანიძე, მ.). რედაქტორი: ნოდარ მამისაშვილი. თბილისი: საქართველოს საპატრიარქო. 2004.
30. ქართული საეკლესიო გალობა. გელათის და შემოქმედის სკოლები. V ტომი. (შემდგ.: ერქვანიძე, მ.). თბილისი: საქართველოს საპატრიარქო. 2008.
31. სუხიაშვილი, მ. ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორია. ლექციები. თბილისი, 2019.
32. Холопов, Ю. Н. Месса. Григорианский Хорал. Научные труды Московской государственной консерватории им. П. И. Чайковского. Сборник 20 (ред.: Лебедева И.). Москва: Типография Россельхозакадемии. 1998. 38-65.
33. სუხიაშვილი, მ. ქართულ საეკლესიო საგალობელში „დასდებლის მეცნიერების“ გამოვლენის ზოგიერთი ასპექტის შესახებ. ტრადიციული მრავალხმიანობის II საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებები (რედ: წურწუშია, რ., ჟორდანია, ი.). თბილისი: პოლიგრაფი. 2004 . 415-430 (ქართ. და ინგლ. ენებზე).
34. სუხიაშვილი, მ. გალობის კანონიკის ძირითადი ასპექტები ძველ ქართულ სასულიერო მუსიკაში. დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი. 2006.

Article received: 2021-05-29